პროექტი

# ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

-- მარტი 2021 წელი ქალაქი ბათუმი

**„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ა დ გ ე ნ ს :**

**მუხლი 1.**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 22/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.132.016355) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** **სულიკო თებიძე**

დანართი

„დამტკიცებულია“

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს 2021 წლის --მარტის
№-- დადგენილებით

## ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგო და საშტატო ნუსხა

| № | თანამდებობის დასახელება | საშტატო ერთეულის რაოდენობა | თანამდებობრივი სარგო (ლარი) |
|---|---|---|---|
| 1 | **საკრებულოს თავმჯდომარე** | **1** | **4500** |
| 2 | **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე** | **2** | **3400** |
| 3 | **საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე** | **5** | **2900** |
| 4 | **საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე** | **5** | **2900** |
| 5 | **საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე** | **6** | **2000** |
| | **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი** | | |
| 6 | პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის უფროსი | 1 | 2900 |
| 7 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შესყიდვების საკითხებში) | 1 | 1400 |
| 8 | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საბუღალტრო საკითხებში) | 1 | 1300 |
| 9 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის საკითხებში) | 1 | 1400 |
| 10 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (გენდერული თანასწორობის საკითხებში) | 1 | 1400 |
| | **იურიდიული განყოფილება** | | |
| 11 | მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი | 1 | 2000 |
| 12 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი | 2 | 1400 |
| 13 | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი | 1 | 1300 |
| | **საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება** | | |
| 14 | მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი | 1 | 2000 |
| 15 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1400 |
| 16 | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 3 | 1300 |
| | **მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება** | | |
| 17 | მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი | 1 | 2000 |
| 18 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1400 |
| 19 | მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 1 | 1300 |
| | **დარგობრივი კომისია** | | |
| 20 | მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი | 5 | 1400 |
| | **ჯამი** | **43** | |

# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი  ბ ა რ ა თ ი

## პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთარაოდენობის განსაზღვრის შესახებ საკრებულოს განკარგულების პროექტი

### ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

2. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

### ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია საკრებულოს აპარატის საშტატო რიცხოვნობის ოპტიმიზაცია, კერძოდ განსახილველი დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის
1 საშტატო ერთეულით შემცირებას, კერძოდ: უქმდება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის შტატი საორგანიზაციო საკითხებში.

აქვე აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღების შედეგად არ მოხდება საკრებულოს აპარატიდან დასაქმებულის განთავისუფლება, რადგან ზემოხსენებული საშტატო ერთეული (მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საორგანიზაციო საკითხებში) დღეის მდგომარეობით არის ვაკანტური.

ამასთანავე, წარმოდგენილია „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვების შეთანხმებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო დაწესებულების მთლიანი საშტატო რიცხოვნობის 5%-ს, თუმცა საფუძვლიანი გარემოების არსებობისას „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად საჯარო დაწესებულების მუშაობის ხელშეწყობის მიზნით გამონაკლისის სახით შესაძლებელია მუნიციპალიტეტის შემთხვევაში საკრებულოსთან შეთანხმებით საჯარო დაწესებულებაში არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად კანონმდებლობით განსაზღვრული ზღვრული ოდენობის ზევით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მოწვევა.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებას და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრას არაუმეტეს 20 ერთეულით ნაცვლად 19 ერთეულისა, რაც იძლევა სამართლებრივ შესაძლებლობას საჭიროების შემთხვევაში **მოქმედი საკრებულოს უფლებამოსილების ვადით** შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე საჭიროების გათვალისწინებით საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით აყვანილ იქნას დამხმარე სპეციალისტი, რომელიც პრაქტიკულად შეასრულებს საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დამხმარე საორგანიზაციო ფუნქცია მოვალეობებს ან/და შესაძლებელი იქნება აღნიშნული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის გამოყენება სხვა მიმართულებით.

**ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება**

**ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ხარჯების გამოყოფის საჭიროებას.

**ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:**

დადგენილების პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო დახარჯვით ნაწილზე.

**ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:**

დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება.

**გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:**

გ) დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალისმქონე ნორმატიულ აქტებთან.

**დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები**

**სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზა-ცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს**

**ე) პროექტის ავტორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება.

**ვ) პროექტის ინიციატორი:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

**ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი ირაკლი თავართქილაძე